# საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება №281

2012წ. "4" 09

ქ. თბილისი

**შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" $30^1$ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს - საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400019948) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | თექის ხელოსანი | III | თექის ხელოსანის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 30 |
| 2. | კრიმინალისტი | III | კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 3. | სამანქანე | III | გემის სამანქანე განყოფილების | 60 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | განყოფილების მეზღვაური | | მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | |
| 4. | მცირე ბიზნესის მწარმოებელი | IV | მცირე ბიზნესის ბიზნესის მწარმოებელის IV საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 5. | გიდი | I | I საფეხურის გიდის პროფესიული კვალიფიკაცია - გიდის ასისტენტი | 32 |
| 6. | მზარეული | I | მზარეულის I საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 30 |

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 4 სექტემბრის №21 სხდომის ოქმის მე-16 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი